+

პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №
2025 წლის ---- ნოემბერი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში (ვარციხჰესების დასახლება) მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკ.კოდი N29.14.33.145 სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 12 ნოემბრის №48/482531664 წერილი, რომელშიც აღნიშნავს, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 27 ოქტომბრის N15/56817 წერილი, რომელშიც სააგენტო ითხოვს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკ.კოდი N29.14.33.145) სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციას, შემდგომში მისი, შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის'' კაპიტალში შეტანის მიზნით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 108-ე მუხლის შესაბამისად:

1. უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცეს სახელმწიფოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში (ვარციხჰესების დასახლება) მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება საკ.კოდი N29.14.33.145 შემდგომში მისი, შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის'' კაპიტალში შეტანის მიზნით.

2.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მესამე რანგის პირველი კატეგორიის

უფროსი სპეციალისტის მ/შ: მაია უგლავა

შეთანხმებულია:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი: მაია ბერაძე

აპარატის უფროსი: გელა თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე: რევაზ დიდავა

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482531664**
თარიღი: **12/11/2025**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 27 ოქტომბრის N15/56817 წერილი (თან ერთვის), რომელშიც სააგენტო ითხოვს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკ.კოდი N29.14.33.145) სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციას, შემდგომში მისი, შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის'' კაპიტალში შეტანის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 108-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, მათ შორის, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემა „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ქონების მმართველის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით.

სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით გთხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 108–ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, მიიღოთ გადაწყვეტილება, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში (ვარციხჰესების დასახლება) მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკ.კოდი N29.14.33.145 სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ინფრასტრუქტურის სამინისტრო

ალ. ყაზბეგის გამზ. N12
0160, თბილისი, საქართველო
+995 32 277 90 90
Letters@moi.gov.ge

11/08/2025

MOI N 01/779

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

ასლი: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

გიგზავნით შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ (შემდგომში კომპანია) მიმდინარე წლის 11 აგვისტოს N17220/1 (სამინისტროში რეგისტრაციის N1227/01; 11/08/2025) წერილს, რომელიც დაკავშირებულია უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან, უძრავ ქონების კომპანიის კაპიტალში შეტანასთან და ნებართვის გაცემასთან. აღნიშნულთან დაკავშირებით გთხოვთ, განიხილოთ და განახორციელოთ შესაბამისი ღონისძიებები:

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში მდებარე 63,547 კვ.მ. ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N29.14.33.145) და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების ასახვა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, შემდგომში კომპანიის კაპიტალში შეტანის მიზნით;

- აღნიშნული ცვლილების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის შემდგომ, კაპიტალში შეტანაზე გაცემულ თანხმობასთან ერთად, ასევე, კომპანიის სასარგებლოდ გასცეთ ნებართვა მასზე სამშენებლო საქმიანობის, გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოების წარმოების და ელექტრომომარაგების შესახებ (რათა, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთზე კომპანიის საკუთრების უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციამდე, არ მოხდეს პროექტის შეფერხება).

დანართი: 2 ფურცელი.

ირაკლი გუჯაბიძე

დეპარტამენტის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

ეკონომიკური დეპარტამენტი

საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
NITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

N 17220/1
11/08/2025

17220-1-2-202508111423

საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეს
ბატონ გიორგი კობერიძეს

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" *(შემდგომში - კომპანია)* ახორციელებს **„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის, სოფელ გეგუთის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტს".**

ხსენებული პროექტი ითვალისწინებს წყალმომარაგების ახალი ინფრასტრუქტურის განთავსებას წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში მდებარე 63,547 კვ.მ. ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე *(საკადასტრო კოდი: 29.14.33.145)* და ასევე არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას.

ამასთან, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის მაძიებელმა უნდა წარადგინოს სამშენებლო ტერიტორიის შესაბამისი საკუთრების დამდგენი დოკუმენტი *(საკადასტრო მონაცემები და საჯარო რეესტრის ამონაწერი).*

ასევე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის N20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების" შესაბამისად, ობიექტის ელექტრომომარაგების მიზნით, დაინტერესებულმა პირმა განაწილების ლიცენზიატს უნდა წარუდგინოს საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან უძრავი ქონების მესაკუთრის წერილობითი თანხმობა.

ვინაიდან, მიწის ნაკვეთ*(ებ)*ის კომპანიის კაპიტალში შეტანა დაკავშირებულია გრძელვადიან პროცედურებთან, ხშირად ჭიანურდება სანებართვო პროცედურების და მშენებლობის, მათ შორის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოების დაწყება, ასევე მოწყობილი ინფრასტრუქტურის შესაბამისი ელექტრომომარაგება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" წინაშე, რათა მათი მიმართვის საფუძველზე განხორციელდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში მდებარე 63,547 კვ.მ. ფართობის მქონე

ს

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲥᲝᲗᲐᲘᲡᲘ 0186
ᲐᲜᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲙᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ №5
(032) 2 91 90 60
e-mail: info@water.gov.ge
L.L.C.
5, Anna Politkovskaya S
Tbilisi 0186, Georg

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე *(საკადასტრო კოდი: 29.14.33.145)* და მასზე განთასებულ შენობა-ნაგებობებზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების ასახვა საჯარო რეესტრში და კაპიტალში შეტანაზე გაცემულ თანხმობასთან ერთად, კომპანიის სასარგებლოდ **გაიცეს ნებართვა** მასზე **სამშენებლო საქმიანობის, გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოების წარმოების** და **ელექტრომომარაგების შესახებ** *(რათა, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე კომპანიის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე, არ მოხდეს პროექტის შეფერხება).*

პატივისცემით,

დავით კვინიკაძე

დირექტორი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი
0179 თბილისი, საქართველო
ტელ:1420
info@nasp.gov.ge

27 / ოქტომბერი / 2025 წ.

KA021777110880025

№ 15/56817

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას

ასლი: საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს

ასლი: შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას

გიგზავნით, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსულ საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2025 წლის 11 აგვისტოს N01/779 წერილს, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომლითაც დასმულია საკითხი სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 29.14.33.145) სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციისა და შემდგომში შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის კაპიტალში შეტანის შესახებ.

გთხოვთ, განიხილოთ ზემოაღნიშნულ წერილში მითითებული უძრავი ქონების (ს/კ 29.14.33.145) სახელმწიფოსთვის გადმოცემის საკითხი საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 108-ე მუხლის თანახმად და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი: 2 ფაილი

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ირაკლი შენგელია